350 ათასმა მორწმუნემ მიიღო მონაწილეობა კიევში რუსეთის გაქრისტიანებასთან დაკავშირებით გამართულ ლიტანიაში



2021 წლის 27 ივლისს კიევში, რუსეთის გაქრისტიანების 1033 წლის აღსანიშნავი დღესასწაულის წინა დღეს, ვლადიმერის გორაკზე ჩატარებული სამადლობელი პარაკლისის შემდეგ, კიევისა და სრულიად უკრაინის უნეტარესი მიტროპოლიტი ონუფრი ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების წარმომადგენლებთან, უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპატთან და სამღვდელოებასთან ერთად, სათავეში ჩაუდგა ჯვრით დიდ მსვლელობას კიევ-პეჩერის ლავრის წმინდა მიძინების ტაძარში.

საზეიმო ლიტანია გაიმართა წმინდა მთავარ ვლადიმერის წმინდა ნაწილებითა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის „ზიმნენის“, „პოჩაევის“, „კასპეროვის“, „სვიატოგორსკის“, „ლიუბოჩესკის“ სასწაულთმოქმედი ხატებით, რომლებიც კიევში უკრაინის სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოაბრძანეს.

ჯვრით მსვლელობის მონაწილეებმა გაიარეს კიევის ცენტრალური ქუჩები ვლადიმერის გორაკიდან კიევ-პეჩერის ლავრამდე, რათა შემდეგ მონაწილეობა მიეღოთ ღამისთევის ლოცვაში.

თაყვანსაცემ ჯვართან, გრუშევის ქუჩაზე, უნეტარესმა მიტროპოლიტმა ონუფრიმ სასულიერო დასთან და ერისკაცებთან ერთად, 2014 წლის თებერვალში მომხდარი ტრაგიკულ მოვლენების დროს დაღუპული სულების განსასვენებლად ილოცა და მონუმენტი ყვავილებით შეამკო.

როდესაც ეპისკოპატი და სამღვდელოება უკვე შეიკრიბა კიევ-პეჩერის ლავრის მიძინების ტაძრის წინ მდებარე მოედანზე ღამისთევის ლოცვის დასაწყებად, ღვთისმლოცველები ჯერ კიდევ ვლადიმერის გორაკიდან გამოდიოდნენ და უკრაინის დედაქალაქის ქუჩებში ლოცვითა და გალობებით ლიტანიობდნენ.

ლოცვითი მსვლელობის შემდეგ კიევ-პეჩერის ლავრაში მასმედიის წარმომადგენლებისათვის ბრიფინგი გაიმართა.

მიმდინარე წელს ლიტანიაში მონაწილეობა მიიღო 350 ათასმა მართლმადიდებელმა მორწმუნემ – ასეთი ციფრი გააჟღერა ბრიფინგზე უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა მმართველმა, ბორისპოლისა და ბროვარის მიტროპოლიტმა ანტონიმ.

უმე-ს საინფორმაციო-საგანმანათლებლო განყოფილება

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87806/